ოქმი
საქართველოსა და INTAS-ს შორის საქართველო - INTAS-ის 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ
კონვენციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

კონვენციით გათვალისწინებული დაფინანსების გაზრდის მიზნით

საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, შემდგომში წოდებული როგორც "მთავრობა", მდებარე საქართველოში. ქ. თბილისი 0102, უზნაძეის ქ. #52, კონკურსთან დაკავშირებით წარმოდგენილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრით ბ-ნ ალექსანდრე ლომაიას სახით ერთის მხრივ და INTAS, ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი ქვეყნების მეცნიერებთან თანამშრომლობის ხელშემწყობი საერთაშორისო ასოციაცია, არამომგებიანი საერთაშორისო ასოციაცია შექმნილი ბელგიის კანონმდებლობის შესაბამისად (რეგისტრაციის ნომერი 21247/93) დარეგისტრირებული ოფისით ბელგიაში, ბრიუსელში B-1000, ავენიუ დეს არტს 58, წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი ლიკვიდატორით ბატონ ალენ ჟერარის სახით მეორეს მხრივ შემდგომ ერთად აღნიშნული როგორც "მხარეები"; ითვალისწინებენ რა ორი მხარის შეთანხმებას, შეიტანონ ცთლილებები „საქართველოსა და INTAS-ს შორის საქართველო - INTAS-ის 2006 წლის ერთობლივ სამეცნიერო პროექტების კონკურსთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციის" მე-5 მუხლში შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. კონვენციის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5
1.თანამშრომლობის განხორციელებისათვის თითოეული მხარე ქმნის ფონდს, რომელშიაც ხდება საერთო თანხის მისი ნაწილის აკუმულირება წინამდებარე კონვენციის შესაბამისად.

ერთობლივი ფონდი წინასწარი შეფასებით შეადგენს 500 000 ევროს (ხუთასი ათასი ევრო).

2. INTAS მთლიანობაში განახორციელებს შენატანს 350 000 ევრომდე (სამას ორმოცდათი ათასი), პროექტებში მონაწილე ქართველ მეცნიერთა ჯუფების დასაფინანსებლად, ერთობლივი კონკურსისათვის გათვალისწინებული მთლიანი თანხიდან, რომელიც შეადგენს 1 500 000 ევროს.

მთავრობა მთლიანობაში განახორციელებს შენატანს 150 000 ევრომდე ოდენობით (ასორმოცდაათი ათასი ევრო).

მთავრობის შენატანი გადახდილი იქნება ეროვნული ვალუტით მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

ცალკეული მხარის საერთო შენატანი გადახდილი იქნება ყველა მხარესთან შეთანხმებული სამეცნიერო პროექტებისათვის, პროექტების დამტკიცებული სიის და თითოეული მხარისათვის განსაზღვრული საგრანტო გადასახადის შესაბამისად.

ცალკეული მხარის ფინანსურმა რეზერვებმა საშუალება უნდა შექმნან პროექტებისათვის თითოეული მხარისაგან მოთხოვნილი მხარდაჭერის დასაკმაყოფილებლად, რაც გამოხატული უნდა იყოს ევროში. მთავრობა ვალდებულებას ღებულობს განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სარეზერვო თანხების დამატებით, რათა საჭიროების შემთხვევაში დაფაროს ეროვნული ვალუტის შესაძლო ინფლაციით შექმნილი განსხვავება. ასეთმა ინფლაციამ არ უნდა შეამციროს თითოეული მხარის მიერ პროექტის დახმარების ოდენობა გამოხატული ევროში."

ფინანსური მენეჯმენტი:

INTAS-ის მხრიდან გადახდებზე პასუხისმგებელია INTAS-ის საფინანსო სამმართველოს უფროსი ბატონი ლიუკ ჰიერგენსი. ბელგია, ბრიუსელი B - 1000, ავენიუ დეს არტს 58.

წინამდებარე კონვენციაზე ხელმოწერის შემდგომ, მთვრობამ უნდა აცნობოს INTAS-ს თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი ქართველი გრანტის მიმღებისთვის მთავრობის მხრიდან გადახდებზე.

მუხლი 2.

წინამდებარე ოქმი ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლისათვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ შეტყობინებების გაცვლის დღიდან.

შესრულებულია ქ. ——— 2007 წლის —— ——— ორ ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. მხარეთა მიერ ოქმის დებულებათა განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით

ბატონი ალექსანდრე ღონ[illegible]

თარიღი: 02.07.07

INTAS -ის სახელით

ბატონი ალექსეი [illegible]

თარიღი: 6.07.07